www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 13 სექტემბერი, 2012 წელი. | №3110 (203) | ფასი 50 თეთრი

ხარვეზების მიუხედავად, საარჩევნო კამპანია კონკურენტულია

აშშ-ს უწყებათაშორისი დელეგაციის შეფასება

მარი ახსიაშვილი

აშშ-ს უწყებათაშორისმა დელეგაციამ, რომელსაც დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის საკითხებში ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილე თომას მელია ხელმძღვანელობდა, საქართველოში სამდღიანი ვიზიტი დაასრულა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ევროსაბჭოს დამკვირვებელთა წინასაარჩევნო შეფასება

დათო გამისონია

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო დელეგაცია საქართველოს 1 ოქტომბრამდე დაემშვიდობა. დელეგაციის ხელმძღვანელმა ლუკა ვოლონტემ პარლამენტში მედიას უთხრა, რომ არჩევნების დღეს საქართველოში გაფართოებული შემადგენლობით იქნებიან.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ევროპა შეშფოთებულია რუსეთში ვითარებით

ცხარე დებატები სტრასბურგში და ვნებათაღელვა რუსეთის საკითხზე. რუსეთის ფედერაციაში არსებულ მდგომარეობაზე აქცენტები ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელის კეტრინ ეშტონის დელეგირებით გაკეთდა. ეშტონმა შეშფოთება გამოთქვა რუსეთის კანონის უზენაესობის უგულებელყოფის გამო და ამის მკაფიო მაგალითად "ფუსი რაიოტის" საქმე დაასახელა. "ჩვენ, ყველას, კარგად გვესმის, რომ ეს პროვოკაციული ინსცენირება რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფს, მაგრამ ეს იყო პოლიტიკური აზრის არაძალადობრივი გამოხატვა. მას უნდა მოჰყოლოდა მსუბუქი სასჯელი და არა ისეთი, როგორიც მძიმე დანაშაულს შეეფარდება," - განაცხადა კეტრინ ეშტონმა. გარდა ამისა,

დებატებისას ასევე გაიხსენეს კომპანია "იუკოსის" ხელმძღვანელის, პუტინის პირად პატიმრად შერაცხული მიხაილ ხოდორკოვსკისა და ფონდ "ერმიტიჯ კეპიტალის" იურისტის სერგეი მაგნიტსკის საქმეებიც.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ბენღაზიში ამერიკის საკონსულოზე თავდასხმას ამერიკელი დიპლომატები ემსხვერპლნენ

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, ლიბიის ქალაქ ბენღაზიში დიპლომატიურ უწყებაზე თავდასხმას ოთხი თანამშრომელი ემსხვერპლა.

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა სამშაბათს გაკეთებულ განცხადებაში ამერიკელი დიპლომატების სიკვდილი დაადასტურა. ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მკაცრად დაგმო ამერიკის საკონსულოზე თავდასხმა და დაადასტურა, რომ ოთხ გარდაცვლილ დიპლომატს შორის ერთ-ერთი ამერიკის ელჩი ლიბიაში კრისტოფერ სტივენსია.

ბენღაზიში არეულობა მეზობელ ეგვიპტეში არსებულ პროტესტს მოჰყვა, სადაც კაიროში საელჩოს წინ შეკრებილმა დემონსტრანტებმა ამერიკის დროშები დაწვეს. ისინი წინასწარმეტყველ მუჰამედის შესახებ ამერიკულ ფილმს აპროტესტებდნენ. დემონსტრანტების თქმით, ეს ფილმი მუჰამედს შეურაცხყოფს.

1 აშშ დოლარი	1.6448⇓
1 ევრო	2.1045⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6360⇓
1 თურქული ლირა	0.9116⇓
100 რუსული რუბლი	5.1761⇓

თბილისი	24°C - 16°C
ქუთაისი	33°C - 20°C
თელავი	25°C - 12°C
ზუგდიდი	33°C - 17°C
ბათუმი	30°C - 19°C

ნავთობი	3.21	+0.03	+0.89%
გაზი	2.97	-0.02	-0.61%
ოქრო	1,734.30	-0.60	-0.03%
ხორბალი	874.50	-9.25	-1.06%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

დელ ბოსკე: საქართველოსთან იოლი არაფერი იყო



8

ბათუმში ლეო კარაქსის ბოლო ფილმს აჩვენებენ

საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი
16 სექტემბერს გაიხსნება

5

"ზეკიური მანქანები"

პრეზიდენტი სერტიფიცირებულ პედაგოგებს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი გლდანის მასწავლებლის სახლში იმ მასწავლებლებს შეხვდა, რომლებმაც მთელი საქართველოს მასშტაბით წარმატებით ჩააბარეს სასერტიფიკატო გამოცდები.

მიხეილ სააკაშვილმა მათ განათლების სისტემის ის სიახლეები გააცნო, რომლებიც ახალი სასწავლო წლიდან ქვეყანაში დაინერგება. მიხეილ სააკაშვილი მასწავლებლის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე საცურაო აუზისა და სპორტული კომპლექსის მშენებლობის პროცესითაც დაინტერესდა და იქ მიმდინარე შიდა სამუშაოები დაათვალიერა.

"მინდა, გაგაცნოთ ახალი ცვლილებები, რომელიც შემოგვაქვს სერთიფიცირებასთან დაკავშირებით. პირველი იქნება ის, რომ ჩვენ სერთიფიცირება გადაგვაქვს სკოლებში და აღარ იქნება საგამოცდო ცენტრებში. დამამცირებელია მასწავლებლების საგამოცდო ცენტრებში მოყვანა. შეიცვლება გამოცდის საათები და 5-საათიანი გამოცდა დავა 2 ან 2 საათ-ნახევრამდე. ასევე, შემოდის სხვა კრიტერიუმები მასწავლებელთა აკრედიტაციისთვის. შეიძლება მასწავლებელმა ჩააბაროს კარგად ინგლისური, კომპიუტერი, თავისი საგანი და აღმოჩნდეს, რომ ის არ არის მაინც კარგი პედაგოგი. ამიტომ პედაგოგების კვალიფიკაცია ასევე გაიზომება იმით, თუ მისმა რამდენმა მოსწავლემ ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდა, რა აკადემიური მოსწრებაა. უნდა შემოვიტანოთ კრიტერიუმები და ამას ახლა ვადგენთ. ეს არ იქნება გადამწყვეტი, მაგრამ იქნება ერთ-ერთი კომპონენტი. ჩვენი ამოცანა ვიღაცის გამოჭერა კი არ არის, არამედ დონის აწევაა. ნუ მიაქცევთ რიტორიკას ყურადღებას, რომ ზოგიერთი მასწავლებელს დაჭერით ემუქრება, ეს არასერიოზული ლაპარაკია," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, სასერთიფიკატო გამოცდების ჩაბარება მასწავლებლებს იანვარშიც შეეძლებათ.

პრემიერ-მინისტრი დუშეთის რაიონში

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დუშეთის რაიონში მდინარე თეთრ არაგვზე "არაგვი ჰესის" სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა. პროექტი მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო და მომდევნო წლის იანვარში დასრულდება.

ვანო მერაბიშვილის განცხადებით, დღეს საქართველოს, რომელიც მსოფლიოში მეორე ადგილზეა ერთ სულ მოსახლეზე ჰიდრორესურსების მოცულობით, ამ რესურსების მხოლოდ 20 პროცენტი აქვს ათვისებული. პრემიერის თქმითვე, სწორედ ელექტროენერგიის მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ამჟამად ქვეყანაში 17 ჰესის მშენებლობა და მსგავსი პროექტები მომავალშიც გაგრძელდება.

"არაგვი ჰესის" სიმძლავრე 8 მეგავატია, ხოლო წლიური გამომუშავება 50 მილიონ კილოვატ/საათს შეადგენს. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 11 მლნ აშშ დოლარია. ჰესის მშენებლობაზე 122 ადამიანია დასაქმებული.

გუშინვე პრემიერ-მინისტრი გუდაურსა და ფასანაურს შორის, სოფელ ნაღვარევში მდებარე საოჯახო სასტუმრო "არაგვსაც" ესტუმრა. ვანო მერაბიშვილმა სასტუმროს მფლობელს მთავრობის ახალი ინიციატივა გააცნო, რომელიც ამ ბიზნესის მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს მიერ რუსეთის მოქალაქეებისთვის ვიზების გაუქმების შედეგად დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებში ტურისტების რაოდენობისა და მგზავრთა ნაკადის მკვეთრ ზრდაზე. მისი განცხადებით, კობი-გუდაურის გზის რეაბილიტაციის შემდეგ, სადაც ბეტონის საფარის დაგება მომდევნო წლის აპრილში დასრულდება, აღნიშნულ რაიონებში ტურისტების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის.

გიორგი თარგამაძე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი საერთაშორისო დიპლომატიური კორპუსისა და ბიზნესსაზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას ევროკავშირის ელჩი ფილიპ დიმიტროვი დაესწრო.

პარტიის ცნობით, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. "ქრისტიან-დემოკრატებმა" დიპკორპუსსა და ბიზნესსაზოგადოებას ქდმ-ს ხედვები გააცნეს საგადასახადო პოლიტიკის, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და ბიზნესის სისხლის სამართლებრივი დევნისგან გათავისუფლების კუთხით.

გიორგი თარგამაძემ ყურადღება გაამახვილა მცირე და საშუალო ბიზნესსა და აგრარულ სფეროზე, რადგან, "ქრისტიან-დემოკრატების" აზრით, დასაქმების ყველაზე დიდი რესურსი სწორედ ამ სფეროებშია. თარგამაძის თქმით, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე საქართველოში ბიზნესი და ეკონომიკა ვერ განვითარდება.

""ქრისტიან-დემოკრატები" მივიჩნევთ, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ხელმძღვანელობის ცვლილება მეტ პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ მდგრადობას მოიტანს, რის შედეგადაც მთავრობა ეკონომიკურ სივრცეში მთავარი მოთამაშე არ იქნება. ბიზნესი და მეწარმე კი იქნება დაფასებული და დაცული როგორც კანონით, ასევე პოლიტიკური ძალების მხრიდან," - განაცხადა თარგამაძემ.

ევროსაბჭოს დამკვირვებელთა წინასაარჩევნო შეფასება

პირველი გვერდიდან

ამასთან, ვოლონტემ ჟურნალისტებს მოუბოდიშა, რადგან მან ამ ეტაპზე კითხვებზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. მისი თქმით, შესაძლოა, რომელიმე პოლიტიკურმა სუბიექტმა დელეგაციის განცხადებები საკუთარი პოლიტიკური არგუმენტების გასამყარებლად გამოიყენოს. ვოლონტე პირობას დებს, რომ არჩევნების შემდეგ ყველა კითხვას უპასუხებს.

ლუკა ვოლონტემ მედიას განცხადება გააცნო, რომელშიც დელეგაციის პოზიცია იყო ჩამოყალიბებული. განცხადებაში დელეგაცია შეშფოთებას გამოთქვამს იმ პოლარიზაციისა და ანტაგონიზმის გამო, რომელიც ქართულ პოლიტიკაში დაპირისპირებულ მხარეებს შორის შეიმჩნევა. "ყველა პარტიას მოვუწოდებ, წინასაარჩევნო პერიოდში ნეგატიური კამპანიის წარმოებისგან თავი შეიკავოს და ამომრჩევლებს თავიანთი გეგმები გააცნოს," - აღნიშნა ვოლონტემ. მათივე განცხადებით, ხელისუფლებამ და ყველა საარჩევნო სუბიექტმა აუცილებლად უნდა გადადგან ყველა შესაძლო ნაბიჯი, იმისათვის, რომ კონსტრუქციული, ინკლუზიური კამპანიისათვის გარემო უზრუნველყოფილი იყოს. "ყველამ თავი უნდა შეიკავოს ისეთი ქმედებისგან, რომელიც დაძაბულობას გაზრდის," - ამბობს ვოლონტე.

განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ ყველა პარტიამ და სახელმწიფომ ისეთი ქმედებისგან უნდა შეიკავონ თავი, რომელიც საზოგადოებაში ნდობის ფაქტორს შეასუსტებს. ასევე, დელეგაცია ყველა საარჩევნო სუბიექტს სთხოვს, კითხვის ქვეშ ნუ დააყენებენ არჩევნების შედეგებს არჩევნების ჩატარებამდე.

გასატარებელ ღონისძებებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად ლუკა ვოლონტეს საარჩევნო სუბიექტისთვის თანაბარი პირობების შექმნა ესახება. დელეგაცია ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ ადმინისტრაციული რესურსების არასათანადო გამოყენების ყველა შესაძლებლობა აღმოფხვრას. ამასთან, დელეგაცია ანგარიშზე მომუშავე მონიტორინგის კომიტეტის განცხადებას ადასტურებს, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ამა თუ იმ პოლიტიკური სუბიექტის დაჯარიმებას ეხება. ვოლონტე ხელისუფლების იმ გადაწყვეტილებას მიესალმება, რომელიც კოალიცია "ქართული ოცნებაში" გაერთიანებული ოპოზიციური პარტიებისთვის დაკისრებული ჯარიმების მოხსნას გულისხმობს.

დელეგაციის განცხადებაში მნიშვნელოვანი ადგილი მედიის საკითხსაც ეთმობა. ლუკა ვოლონტეს განცხადებით, "დელეგაცია მიესალმება იმას, რომ "მასთ ქერისა" და "მასთ ოფერის" პრინციპების შესახებ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით, მედიაგარემოში უფრო მეტი პლურალიზმია." ამავდროულად, ვოლონტე აღნიშნავს, რომ ეს ნორმა არჩევნების დღესა და არჩევნების შემდეგ დღეებში არ ვრცელდება. ამიტომ დელეგაცია ხელისუფლებას "მასთ ქერისა" და "მასთ ოფერის" მოქმედების ვადის გახანგრძლივების საკითხის განიხილვას სთხოვს, იმისთვის, რომ ამ პრინციპებმა საარჩევნო პროცესის დასრულებამდე იმოქმედოს.

ვოლონტე ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს რეგიონებში საკაბელო ტელევიზია მაინცდამაინც ფართოდ არ არის გავრცელებული. "აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას მოვუწოდებთ, ყველა შესაძლო საშუალება მოიძიონ იმისთვის, რომ იმ რეგიონებში, რომელსაც ხელი არ მიუწვდება საკაბელო ტელევიზიაზე, მედიაზე წვდომა გაუმჯობესდეს," - აცხადებს ლუკა ვოლონტე.

რაც შეეხება არჩევნების ორგანიზების საკითხს, ვოლონტეს თქმით, ახალმა საარჩევნო კოდექსმა საარჩევნო ადმინისტრაციას არჩევნების უფრო ეფექტიანად ორგანიზების საშუალება მისცა. პარტიათაშორისი კომისიის მუშაობის შესახებ, რომლის ფუნქციაში ამომრჩეველთა სიების გადამოწმება შედიოდა, ვოლონტე ხაზგასმით საუბრობს. მისი თქმით, კომისიის მუშაობის შედეგად მომავალი საარჩევნო პროცესისა და ამ არჩევნების შედეგების მიმართ საზოგადოების ნდობა უნდა გაიზარდოს. დელეგაცია მიიჩნევს, რომ ეს თანამშრომლობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ოპოზიციურ და მმართველ პარტიას შორის თანამშრომლობა ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია.

ვოლონტე ასევე მიესალმება უწყებათაშორისი კომისიის მუშაობას, რაც საარჩევნო პროცესისადმი საზოგადოების ნდობას აძლიერებს. მისი თქმით, დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელია, საზოგადოებას პროცესისადმი ნდობა ჰქონდეს.

დელეგაციის შეხვედრები

მედიასთან შეხვედრამდე დელეგაციის წევრები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შეხვდნენ. პირველი შეხვედრა დელეგაციას კოალიცია "ქართულ ოცნებასთან" ჰქონდა. როგორც შეხვედრის შემდეგ კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა თქვა, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის ჯგუფი საქართველოში არსებულ პრობლემებს კარგად იცნობს. **"შეხვედრა ძალიან საინტერესო იყო. მათ ბევრი კითხვაც დასვეს და ჩვენ კარგად აღვუწერეთ რეალური მდგომარეობა. პროცესები კარგად ვითარდება, დამკვირვებლების რაოდენობა იზრდება, რაც საშუალებას გვაძლევს, 1 ოქტომბერს, ჩვენს ისტორიაში პირველად, დემოკრატიულის მსგავსი არჩევნების ჩატარება მოვახერხოთ. ბუნებრივია, ეს სრულყოფილად დემოკრატიული არჩევნები ვერ იქნება,"** - ამბობს ბიძინა ივანიშვილი. შეხვედრას კოალიციის სხვა წევრები - კახი კალაძე, დავით უსუფაშვილი და თეა წულუკიანი ესწრებოდნენ.

უსუფაშვილის თქმით, დელეგაცია დაინტერესდა, თუ როგორ მოხდა, რომ მთელ ქალაქში საარჩევნოდ ბილბორდებზე ადგილი მხოლოდ "ნაციონალურ მოძრაობასა" და კიდევ ერთ მცირე პარტიას შეხვდა. გარდა ამისა, "რესპუბლიკელების" ლიდერი ამბობს, რომ სტუმრებს აინტერესებდათ, ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება კონკრეტულად რაში გამოიხატება. უსუფაშვილმა დასძინა, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ჯგუფმა გამოთქვა იმედი, რომ არჩევნების შემდეგ ისინი კოალიციის წარმომადგენლებთან, როგორც კოლეგებთან, ევროპულ ასპარეზზე გააგრძელებენ თანამშრომლობას. **"დელეგაცია ევროპის სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებისგან შედგება და ისინი საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი შემფასებლები იქნებიან,"** - აღნიშნა უსუფაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წევრების გარდა, დელეგაცია პარლამენტის შენობაში სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშსა და "ახალი მემარჯვენეების" ლიდერს დავით გამყრელიძეს შეხვდნენ.

სახალხო დამცველმა შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს უთხრა, რომ დელეგაციას სრული ინფორმაცია ყველა იმ ფაქტზე მიაწოდა, რომელიც სახალხო დამცველის ოფისმა შეისწავლა. **"საუბარი მედიის წარმომადგენელთა უფლებების დარღვევასაც შეეხო, რაც განსაკუთრებით რეგიონულ ჟურნალისტებს ეხებათ,"** - ამბობს ტუღუში. სახალხო დამცველის თქმით, დელეგაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობითაც დაინტერესდა. **"იკითხეს, დაყადაღებული სატელიტური ანტენების შესახებ ომბუდსმენს რა პოზიცია აქვს,"** - ამბობს გიორგი ტუღუში.

დავით გამყრელიძე კი მიიჩნევს, რომ ჯერ კიდევ ბევრი დარღვევის პრევენცია შეიძლება, ამიტომ დელეგაციის ვიზიტისთვის კარგი დროა. მისი აზრით, საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს ხელისუფლებაზე სერიოზულ გავლენას ახდენენ. გამყრელიძე ასევე ამბობს, რომ მან დელეგაციას რეგიონებში შექმნილი სირთულეები, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობის დაშინების ფაქტები გააცნო. **"აქტიური ნაბიჯების გადადგმაა საჭირო, რათა ამომრჩეველს არჩევნების მიმართ მეტი რწმენა გაუჩნდეს. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა ამომრჩეველმა, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით, ირწმუნოს, რომ არჩევნების ბედი პირველ ოქტომბერს წყდება და არა მის შემდეგ, აქციებით,"** - ამბობს დავით გამყრელიძე.

ვიცე-სპიკერმა "ქრისტიან-დემოკრატებიდან" ლევან ვეფხვაძემ შეხვედრაზე საზოგადოების პოლარიზებისა და იმ ტენდენციების შესახებ ისაუბრა, რაც წინასაარჩევნო პერიოდს ახასიათებს. ვეფხვაძის თქმით, შეხვედრა ორი მიზეზის გამო იყო მნიშვნელოვანი - პრევენციის კუთხით, მისიებს ხარვეზების შესახებ ინფორმაცია რომ ჰქონდეთ და ასევე იმისთვის, რომ არჩევნების შედეგები აღიარებული იყოს. **"როდესაც ხარვეზების შესახებ ინფორმაციას ვაწვდით, ამით ხელისუფლებას ვაფრთხილებთ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია მკაფიო იქნება,"** - ამბობს ვეფხვაძე.

პარლამენტში ბოლო შეხვედრა დელეგაციას პარლამენტის თავმჯდომარესთან დავით ბაქრაძესთან ჰქონდა. შეხვედრას საპარლამენტო უმრავლესობის წევრებიც ესწრებოდნენ. ბაქრაძის შეფასებით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო დელეგაციის განწყობა მთლიანობაში პოზიტიურია. ბაქრაძემ ჟურნალისტებს უთხრა, რომ დელეგაციას ყველაფერი აინტერესებს, რაც საარჩევნო გარემოსა და საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებას ეხება. **"ისინი ხედავენ, საქართველოში რამდენი რამ გაკეთდა. რა ნაბიჯები გადაიდგა იმისთვის, რომ არჩევნები დემოკრატიული და თავისუფალი იყოს. მეორე მხრივ, მათ ის პრობლემები აწუხებთ, რაც დღევანდელ საარჩევნო გარემოშია, ძირითადად, ეს არის პოლარიზაცია, რაც ბევრი პრობლემის საფუძველი და სათავეა,** - აღნიშნავს ბაქრაძე და განაგრძობს, - **ყველას კარგად მოგვეხსენება, საარჩევნო პროცესის პოლარიზაცია საიდან მოდის. "ნაციონალურმა მოძრაობამ" წინა წლებში ამის შესამცირებლად ბევრი რამ გააკეთა. სამწუხაროდ, ბოლო 8 თვეში ქართული პოლიტიკური სპექტრი ისევ ღრმად პოლარიზებულია, მაგრამ არა ჩვენი მიზეზით."**

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ხარვეზების მიუხედავად, საარჩევნო კამპანია კონკურენტულია

პირველი გვერდიდან

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ შეხვედრების შედეგები გუშინ სპეციალურ პრესკონფერენციაზე შეაჯამა. თომას მელიამ ქართველ ხალხს ამერიკის პრეზიდენტის ბარაკ ობამასა და სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მოკითხვა გადასცა. მანვე განაცხადა, რომ აშშ-ს უწყებათაშორისი დელეგაციის ვიზიტი ხაზს უსვამს იმ დემოკრატიული საარჩევნო პროცესის მნიშვნელობას, რომელიც ქართველი ხალხის ნებას ასახავს. მელიას თქმით, ხარვეზების მიუხედავად, საქართველოში კონკურენტული საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს.

როგორც აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ განაცხადა, შეხვედრებისას მხარეებს კანონმდებლობის გამჭვირვალედ აღსრულება სთხოვეს, ასევე, პოლიტიკურ პარტიებს მისცეს რეკომენდაცია, რომ საარჩევნო პროცესში კანონის სრული დაცვით მიიღონ მონაწილეობა.

"ამერიკა მხარს უჭერს ქართველი ხალხის სურვილს, ჩატარდეს დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები. ჩვენ არ ვანიჭებთ უპირატესობას რომელიმე ლიდერს. ამერიკის მთავრობა განაგრძობს მჭიდრო თანამშრომლობას ქართველი ხალხის მიერ არჩეულ ნებისმიერ ლიდერთან და ქართველი ხალხის მიერ დაკომპლექტებულ ნებისმიერ პარლამენტთან. მომავალი არჩევნები საქართველოსთვის შანსია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში წინსვლისკენ. ამ არჩევნების სამართლიანობის აღქმა საქართველოს დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვანი ინდიკატორი იქნება", - განაცხადა თომას მელიამ და აღნიშნა, რომ დემოკრატიული პროცესი მხოლოდ არჩევნების დღეს არ სრულდება.

აშშ-ს უწყებათაშორისი დელეგაციის ხელმძღვანელმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე საარჩევნო პროცესისთვის მნიშვნელოვანი რამდენიმე პრინციპი დაასახელა. თანაბარი საარჩევნო გარემოს არსებობა, კანონის უზენაესობა, სამართლიანი მართლმსაჯულება, კანონების თანაბარი გამოყენების აუცილებლობა და ფუნდამენტური უფლებების პატივისცემა - ეს არასრული ჩამონათვალია იმ საარჩევნო პრინციპებისა, რომლებიც თომას მელიას საარჩევნო პროცესისთვის მნიშვნელოვან საკითხებად მიაჩნია. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის თქმით, ეს პრინციპები სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში ყველა მხარეს გაუზიარეს. როგორც მელიამ განაცხადა, პირველი და მნიშვნელოვანი პრინციპია თანაბარი საარჩევნო ველის არსებობა.

"პოლიტიკური გარემო ხელს უნდა უწყობდეს პროცესში ყველა პარტიის თანაბარ მონაწილეობას. მეორე პრინციპია კანონის უზენაესობა და სამართლიანი მართლმსაჯულება. ჩვენ ყველა შეხვედრისას ხაზს ვუსვამდით კანონების თანაბარი გამოყენების აუცილებლობას. პროცესის ყველა მონაწილე თანაბარი სტანდარტებით უნდა იყოს განსჯილი, ხოლო პოლიტიკურმა პარტიებმა პროცესში კონსტრუქციულობა უნდა გამოიჩინონ და პოლიტიკური მიზნები საარჩევნო ყუთებთან განახორციელონ," - აღნიშნა აშშ-ს უწყებათაშორისი დელეგაციის ხელმძღვანელმა. მან მესამე პრინციპად ფუნდამენტური უფლებების პატივისცემა დაასახელა და შენიშნა, რომ მშვიდობიანი დემონსტრაციებისა და შეკრების თავისუფლების პატივისცემა დემოკრატიული პროცესის ნაწილია.

"მივიღეთ ინფორმაცია პარტიების წარმომადგენლებისგან. მათ გვითხრეს, რომ თავისუფლად მოგზაურობენ საქართველოში, მართავენ შეხვედრებს და ატარებენ საარჩევნო კამპანიას. ჩვენ მათ ვთხოვეთ, თავი შეიკავონ ძალადობისგან და თავიდან აიცილონ პროვოკაციები," - დასძინა მელიამ. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის თქმით, მეოთხე მნიშვნელოვანი პრინციპი მასმედიის ხელმისაწვდომობაა. აშშ მიესალმება იმ კანონმდებლობის დანერგვას, რის მიხედვითაც საარჩევნო კამპანიის 60 დღის განმავლობაში მედია ყველა პოლიტიკური სუბიექტისთვის ხელმისაწვდომია.

"იმედის მომცემია ე.წ. Must carry-ის პრინციპი. ჩვენ მხარს ვუჭერთ მის გაგრძელებას არჩევნების შემდეგაც - სავარაუდო დავების განხილვისას. ასევე, შემდეგ პერიოდშიც. მეხუთე პრინციპია კონსტრუქციული ჩართულობა. გვაქვს მოლოდინი, რომ პოლიტიკური პარტიები თავს შეიკავებენ ძალადობისგან, ასევე, სამართალდამცავები იმოქმედებენ პროფესიონალურად, რათა არჩევნები და მისი შემდგომი პროცესები მშვიდობიანად წარიმართოს," - განაცხადა თომას მელიამ. მისივე რეკომენდაციით, ყველა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა იმუშაოს პარლამენტში იმისთვის, რომ საქართველოს დემოკრატიული, ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრესი გაგრძელდეს.

"მივესალმებით ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ჯგუფების, განსაკუთრებით, ეუთო-ს მუშაობას, რაც საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობას და მის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას ემსახურება. ასევე, იმას, რომ არჩევნების შედეგები ქართველი ხალხის ნების შესაბამისი იყოს," - განაცხადა ამერიკელმა მაღალჩინოსანმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მოქალაქეების გადასაწყვეტია, რომელი პოლიტიკური ძალებით დააკომპლექტებენ მომავალ პარლამენტს.

"ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ნებისმიერ მთავრობასთან, რომელიც საქართველოს მოქალაქეების მიერ დემოკრატიული გზით იქნება არჩეული. ამერიკულმა დელეგაციამ ყველა პარტიისგან დაინახა განწყობა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის თაობაზე," - დასძინა მან.

აშშ-ს უწყებათაშორისი დელეგაციის ნაწილი საქართველოში რჩება და მუშაობას განაგრძობს, მეორე ნაწილმა კი თბილისი უკვე დატოვა. დელეგაცია საქართველოში, წინასაარჩევნო გარემოს გაცნობის მიზნით, 10 სექტემბერს ჩამოვიდა.

ადვოკატი ომბუდსმენის ინფორმაციას არ ეთანხმება

სასჯელაღსრულების სამინისტრო მსჯავრდებულ ცოტნე გამსახურდიას შიმშილობის ფაქტს ადასტურებს, თუმცა, კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულის მიმართ "კარცერში" ფიზიკური ზეწოლა განხორციელდა.

ცოტნე გამსახურდია სასჯელაღსრულების N 17 დაწესებულების ადმინისტრაციას რამდენიმე მოთხოვნას უყენებს და პერსონალს არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებს.

"ცოტნე გამსახურდიას ძალადობის კვალი აშკარად ეტყობა, თუმცა ამბობს, რომ დაეცა და დაზიანება ამის შედეგად მიიღო. ეს ვერსია რეალობას არ შეესაბამება და მომხდარი ძალადობას უკავშირდება," - ირწმუნება ადვოკატი და მომხდარის გამოძიების მოთხოვნით, პროკურატურაში განცხადების შეტანას გეგმავს.

ცოტნე გამსახურდიას ადვოკატის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადებით უპასუხა, მსჯავრდებულის შიმშილობის ფაქტი დაადასტურა და მასზე განხორციელებული რაიმე სახის ზეწოლა კატეგორიულად უარყო.

"შიმშილობის გამოცხადების შემდეგ, მსჯავრდებული კანონის ფარგლებში გადაყვანეს არა ე.წ. "კარცერში", როგორც ამას მსჯავრდებულის უფლებადამცველი აცხადებს, არამედ განცალკევებით, მუდმივი სამედიცინო ზედამხედველობის მიზნით, რაც მოშიმშილე პატიმრის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ამ ეტაპზე მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. საჭიროების შემთხვევაში, მსჯავრდებული გამსახურდია, ისევე როგორც ნებისმიერი პატიმარი, უზრუნველყოფილია შესაბამისი პროფილის ექიმის მუდმივი ზედამხედველობით, მრავალპროფილური სადიაგნოსტიკო და სამკურნალო საშუალებებით, ასევე სამოქალაქო სექტორის წამყვანი სპეციალისტების მომსახურებით," - განმარტავენ სამინისტროში.

განზრახ მკვლელობის მცდელობისა და იარაღის უკანონო შენახვა-ტარების ბრალდების საფუძველზე პატიმრობაში მყოფი ცოტნე გამსახურდიას შიმშილობის ფაქტს ადასტურებენ ომბუდსმენის ოფისშიც. რაც შეეხება ფიზიკურ დაზიანებებს, სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, რომ ომბუდსმენის წარმომადგენლეთან შეხვედრისას ცოტნე გამსახურდიამ განაცხადა, რომ 9 სექტემბერს ცუდად გახდა, დაკარგა გონება და წაიქცა.

"მას არ უთქვამს, რომ რაიმე სახის ძალადობის მსხვერპლი იყო, თუმცა თქვა, რომ როდესაც გონს მოვიდა, მასთან საკანში დაინახა ციხის რამდენიმე თანამშრომელი. ჩვენ მაინც უნდა მოვთხოვოთ საგამოძიებო ორგანოებს, რომ მოიკვლიონ ეს ფაქტი, ვინაიდან მას აღენიშნება გარკვეული დაზიანებები თავის არეში. ჩვენმა სამედიცინო ექსპერტმა დათვალიერა აღნიშნული დაზიანებები, ექსპერტის განმარტებით, სავარაუდოდ ეს არ უნდა იყოს ძალადობრივი გზით მიყენებული დაზიანებები. ეს გავს დაზიანებებს, რომელიც შეიძლება ყოფილიყო დაცემის ან გადმოვარდნის შედეგად მიღებული. გამსახურდია აცხადებს, რომ მისი შიმშილობის მიზეზია ადეკვატური მკურნალობის უზრუნველყოფა და ასევე, ზოგადად, მსჯავრდებულებისთვის ჯანდაცვის მომსახურების გაუმჯობესება," - განუცხადა news.ge-ს ომბუდსმენმა გიორგი ტუღუშმა.

ცოტნე გამსახურდიას ადვოკატი ქეთი ბექაური სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნას არ ენდობა. ადვოკატი, როგორც თავად აცხადებს, არ ენდობა ასევე, საიას ადვოკატს, რომელიც მიმდინარე წლის მარტიდან გამსახურდიას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში ეხმარებოდა. ბექაური ნდობას მხოლოდ სასამართლოს ექსპეტიზას უცხადებს და მოითხოვს, ექსპერტიზა ჩაატაროს სასამართლომ და არა რომელიმე დამოუკიდებელმა ექსპერტმა.

ურმას პაეტი: "პოლიტიკური პროცესის ყველა მონაწილემ უნდა აღიაროს არჩევნების შედეგები"

"პოლიტიკური პროცესის ყველა მონაწილემ უნდა აღიაროს არჩევნების შედეგები, რადგან ეს არის ქართველი ხალხის ნება," - ამის შესახებ ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქართველ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

ურმას პაეტის თქმით, ყველა პოლიტიკურ კანდიდატსა და ძალას საშუალება აქვს, საარჩევნო პროცესში მონაწილეობა მიიღოს. მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიულ და გამჭვირვალე გარემოში ჩატარდება.

"ყველა მოქალაქემ 1-ელ ოქტომბერს უნდა მიიღოს მონაწილეობა ხმის მიცემის პროცესში და გააკეთონ საკუთარი არჩევანი. ეს არჩევანი უნდა გაკეთდეს იქიდან გამომდინარე, რა არის კარგი საქართველოსა და საქართველოს მომავლისთვის," - განაცხადა პაეტმა.

შეხვედრის შემდეგ მხარეებს შორის ხელი მოეწერა ევროკავშირის ქვეყნებში უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ საიმპლემენტაციო ოქმს. გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, განიხილეს ის დემოკრატიული რეფორმებიც, რომლებიც საქართველომ განახორციელა.

ივანიშვილმა კარლ ბილდტთან შეხვედრის შესახებ განმარტება გააკეთა

"შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი ჩვენთან შეხვედრაზე მხოლოდ იმით დაინტერესდა, ვაპირებდით თუ არა ქუჩის აქციებისთვის მიმართვას," - ასე გამოეხმაურა კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი გუშინწინ გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თითქოს შვედეთის მთავარმა დიპლომატმა საქართველოში ვიზიტისას ოპოზიციური ძალები აქციების უშედეგობის შესახებ გააფრთხილა.

"შეხვედრაზე მხოლოდ შეკითხვის მსგავსი იყო დასმული. მე ავუხსენი და, დარწმუნებული ვარ, მან კარგად გააცნობიერა, რომ არაფერი მსგავსი არ იგეგმება. მე ვუთხარი, რომ ხელისუფლება ცდილობს სიცრუის დანერგვას," - დასძინა ივანიშვილმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კარლ ბილდტის მოწოდებას ქართული ოპოზიციისადმი "უცნაურად" მიიჩნევს. ამის შესახებ სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლუკაშევიჩმა განაცხადა.

"უოლ სტრიტ ჯურნალი": "ქართული დემოკრატია და რუსული ჩარევა"

"ქართული დემოკრატია და რუსული ჩარევა" - ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას ესტონეთის თავდაცვის მინისტრი ურმას რეინსალუ "უოლ სტრიტ ჯურნალში".

წერილში ესტონელი პოლიტიკოსი საქართველოს შესახებ დიმიტრი მედვედევისა და ვლადიმერ პუტინის ბოლოდროინდელ განცხადებებს ეხმაურება.

სტატიაში ნათქვამია, რომ აგვისტოში პუტინმა შოკში ჩააგდო დასავლეთი, როდესაც თქვა, რომ 2008 წლის ომისთვის მზადება ორი წლით ადრე დაიწყო. ურმას რეინსალუ წერს, რომ ევროპელმა ლიდერებმა ამჯერად მოსკოვის ზრახვები სათანადოდ უნდა შეაფასონ.

მინისტრის აზრით, რუსეთს დღესაც ის ამბიცია აქვს, რომ ხელი შეუშალოს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას და საამისოდ ვითარების დესტაბილიზაციისთვის ახალ მიდგომას - შიდა პოლიტიკას იყენებს; მოსკოვის ეს ძალისხმევა კი კონცენტრირებულია ოპოზიციონერი ფიგურის, მილიარდერი ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ. ესტონეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ივანიშილის რიტორიკა ეთნონაციონალისტური და ფუნდამენტურ-ორთოდოქსულია, მის მიერ დაფინანსებული ჯგუფები ძალადობის პროვოცირებასთან არიან დაკავშირებულნი და არა - გაუმჯობესებულ პოლიტიკურ დებატებთან.

წერილში ნათქვამია, რომ "ქართულმა ოცნებამ" უარი თქვა ქცევის კოდექსზე, რომელსაც სხვა ყველა პარტია დათანხმდა.

"იმედია, დასავლეთი საკმარისად ჭკვიანია და სწორედ შეაფასებს იმ თამაშებს, რომლის მიზანი საქართველოს იმიჯის შელახვა და საშინაო წყლების ამღვრევაა," - აცხადებს ესტონეთის თავდაცვის მინისტრი "უოლ სტრიტ ჯორნალში" გამოქვეყნებულ ღია წერილში.

"საერთაშორისო გამჭვირვალობამ" წინასაარჩევნო ანგარიში გამოაქვეყნა

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" პროექტის "გამჭვირვალე ანგარიშვალდებული პოლიტიკური ფინანსები საქართველოში" ფარგლებში ახალ ანგარიშს აქვეყნებს.

ორგანიზაციის დირექტორის ეკა გიგაურის თქმით, ანგარიში 2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის აგვისტომდე საქართველოში წინასაარჩევნო გარემოს აფასებს. ამ პერიოდის განმავლობაში "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" რამდენიმე ტენდენცია გამოავლინა. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში აღინიშნა სამართლებრივი რესურსების პოლიტიკური და საარჩევნო მიზნით გამოყენება.

ანგარიშის ავტორების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ცვლილებები კანონმდებლობაში პოზიტიურად უნდა შეფასდეს, მმართველი პარტიის მხრიდან ადგილი ჰქონდა ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებას, რაც ხშირ შემთხვევაში მხოლოდ მათ ინტერესს ემსახურებოდა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონით დადგენილი არაპროპორციული სანქციები, რომლებსაც რიგ შემთხვევაში ოპოზიციური პარტიების საქმიანობის პარალიზება შეეძლო.

ანგარიშში საუბარია ასევე კანონის აღსრულების პრობლემაზე და შერჩევით სამართალწარმოებაზე. გიგაურის თქმით, ეს ძირითადად გამოიხატებოდა იმით, რომ შესაბამისი უწყებები შერჩევითად რეაგირებდნენ მმართველი და ოპოზიციური პარტიების მიერ ჩადენილ ქმედებებზე. ანგარიშში ასევე საუბარია პარტიების შესახებ ინფორმაციის არასათანადო გავრცელებასა და პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებებზე.

პაკისტანის ფაბრიკებში გაჩენილ ხანძარს 236 ადამიანი ემსხვერპლა

პაკისტანის ქალაქებში კარაჩიშსა და ლაჰორში ფაბრიკებში გაჩენილ ხანძარს ამ დროისათვის 236 ადამიანი ემსხვერპლა. ხანძრები ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ფაბრიკებში გაჩნდა. "მესაკუთრეები ფაბრიკაში პრუდუქციის გადარჩენას უფრო ცდილობდნენ, ვიდრე მუშების," - აღნიშნავს ტანსაცმლის ფაბრიკის ერთ-ერთი მუშა მოჰამედ პერვეზი.

იემენის პრეზიდენტმა მინისტრები შეცვალა

იემენის პრეზიდენტმა აბდურაბუ მანსურ ჰადიმ 12 სექტემბერს რამდენიმე მინისტრი და მისი ადმინისტრაციის წევრი შეცვალა. თანამდებობებიდან გაათავისუფლეს ნავთობისა და განათლების მინისტრები, ასევე, დაზვერვისა და ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების ხელმძღვანელები.

ყველა ეს მაღალჩინოსანი ყოფილი პრეზიდენტის ალი აბდულ სალეჰის თანამოაზრეებად ითვლება. შეგახსენებთ, რომ სალეჰი რევოლუციის შემდეგ იძულებული გახდა, თანამდებობა დაეტოვებინა.

ეგვიპტეში ყოფილი პრემიერის დაპატიმრების ბრძანება გასცეს

ეგვიპტის სახელმწიფო ტელეარხების ცნობით, ქვეყნის პროკურატურამ ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტობის კანდიდატის აჰმედ შაფიკის დაპატიმრების ბრძანება გასცა. საქმე კორუფციის ბრალდებას ეხება. შაფიკი, რომელიც ჰოსნი მუბარაქის პრეზიდენტობისას უკანასკნელი პრემიერ-მინისტრი იყო, ივნისში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მუჰამედ მურსისთან დამარცხდა. გავრცელებული ინფორმაციით, არჩევნების შემდეგ შაფიკი არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში გაემგზავრა, თუმცა "სი-ენ-ენს" მისმა ადვოკატმა განუცხადა, რომ მას ქვეყანა არ დაუტოვებია. სამშაბათს ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულ ინტერვიუში შაფიკი აღნიშნავს, რომ ის ამ ბრალდებას ელოდა და გამოძიებას დაელოდება.

კატალონიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით მასობრივი დემონსტრაცია მოეწყო

ადგილობრივი პოლიციის ცნობით, გუშინ ბარსელონაში კატალონიის დამოუკიდებლობის მხარდამჭერ დემონსტრაციაში დაახლოებით ნახევარმა მილიონმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ქალაქის ცენტრში ასობით ათასი ადამიანი შეიკრიბა. მათ ხელში კატალონიისა და დამოუკიდებლობის მოძრაობის დროშები ეჭირათ. მსგავსი დემონსტრაცია კატალონიაში ყოველწლიურად ტარდება, თუმცა ეს ისტორიაში ყველაზე მსხვილი დემონსტრაცია გამოდგა. დამოუკიდებლობის გარდა, დემონსტრანტები ესპანეთის საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლასაც მოითხოვდნენ.

რუსეთის კომუნისტური პარტია "მილიონიანი მარშის" შესახებ

რუსეთის ფედერაციის კომუნისტურმა პარტიამ უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი 15 სექტემბრის "მილიონიან მარშში" მონაწილეობას პირველად მიიღებენ და აღნიშნა, რომ ისინი მსვლელობისას საკუთარ პლაკატებს პირველად არ გამოიტანენ. "პარტიის ქალაქის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, ამ ფორმით მიიღონ მონაწილეობა, თუმცა ის, რომ ეს პირველად მოხდება, სიმართლე არ არის," - განაცხადა პარტიის ლიდერის გენადი ზიუგანოვის პრესმდივანმა ალექსანდრე იუშენკომ. ჯერ დაზუსტებული არ არის, მსვლელობაში მონაწილეობას თავად პარტიის ლიდერი მიიღებს თუ არა. გასული წლის დეკემბერში ზიუგანოვი "სამართლიანი არჩევნებისათვის" მიტინგებს კრიტიკულად მოიხსენებდა.

ჩეჩენ მეამბოხეთა ვებგვერდი ლოპოტას ხეობის მოვლენებს ეხმაურება

ჩეჩენ მაემბოხეთა ვებგვერდი kavkazcenter.com ლოპოტას ხეობაში განვითარებულ მოვლენებს მორიგ ვრცელ სტატიას უძღვნის.

"კავკაზცენტრის" წყარო კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საქართველო-დაღესტანის საზღვარზე დაკავებული "დივერსიული ჯგუფის წევრი" აჰმედ ჩატაევია. წყაროს ცნობით, ჩატაევი საქართველოს ხელისუფლებამ ლოპოტას ხეობაში მოხალისეებთან მოსალაპარაკებლად დაიბარა.

თუმცა, როგორც ცნობილია, მოლაპარაკება ვერ შედგა, რასაც სროლები მოჰყვა. ჩატაევი სწორედ ამ სროლებისას დაიჭრა და იძულებული გახდა, მოჯაჰიდების პოზიციებისათვის შეეფარებინა თავი. რამდენიმე დღეში კი ჩატაევი თავად გადავიდა ქართული პოლიციის ბლოკპოსტზე. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ფეხის ამპუტაცია გაუკეთეს - ჭრილობის შედეგად მას განგრენა განუვითარდა.

როგორც წყარო აღნიშნავს, დანარჩენი მოჯაჰიდები ორსამ ჯგუფად დაიყვნენ და სხვადასხვა მარშრუტით დაღესტანის მხარეს გაემართნენ. თუმცა აღნიშნული ინფორმაცია დამატებით გადამოწმებას მოითხოვს.

ამასთან, ცოტა ხნის წინ "Эхо Кавказа"-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ დოკუ უმაროვის უფროსი ძმა თითქოს საქართველოში იმყოფება. "კავკაზცენტრის" რედაქციამ მოახერხა თავად აჰმედ უმაროვთან დაკავშირება, რომელსაც საკმაოდ გაუკვირდა მის შესახებ მსგავსი ინფორმაციის გავრცელება: "მე რადიო "თავისუფლებიდან" დამიკავშირდნენ და მკითხეს, სად ვიმყოფებოდი. ყოველგვარი დაზუსტების გარეშე ვუპასუხე, რომ ჩემს ადგილას ვიმყოფები. მთელი მსოფლიოს დაზვერვამ, ჩემმა მეგობრებმა და მტრებმა მშვენივრად იციან ჩემი ადგილსამყოფელის შესახებ და ეს საქართველო ნამდვილად არ არის," - აღნიშა აჰმედ უმაროვმა, რომელმაც ჩატაევის შესახებაც ისაუბრა.

"საქართველოს ხელისუფლებამ, ჩემი ინფორმაციით, ჩატაევს შესაფერისი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა," - აცხადებს დოკუ უმაროვის ძმა.

სტატიის დასასრულს საუბარია, რომ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს დაღესტან-საქართველოს საზღვარზე მომხდარი მოვლენები სააკაშვილისა და მისი გარემოცვის პროვოცირებულია, არვითარი საფუძველი არ გააჩნია და ან ფანტაზიის ნაყოფია, ან სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მცდელობაა, საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისათვის ყველაზე მომგებიანი ვერსია შექმნან.

ევროპა შეშფოთებულია რუსეთში ვითარებით

პირველი გვერდიდან

"ეს ყველაფერი ერთად აღებული, როგორებიცაა საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის შეზღუდვა, არასამთავრობო ორგანიზაციების აკრძალვა, ინტერნეტში თავისუფლების შეზღუდვა, "ფუსი რაიოტის" საქმე, ოპოზიციის აქტივისტების დევნა, მათ შორის ალექსეი ნავალნის წინააღმდეგ მიღებული ზომები სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ევროკავშირში. აღნიშნული ტენდენცია სერიოზულ კითხვებს აჩენს რუსეთში კანონის უზენაესობის მდგომარეობაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება სამართლებრივი და სამართალდამცავი სტრუქტურების გამოყენებას პოლიტიკური მიზნებით, რომელთა რეალური მიზანი რუსეთის მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლების დაცვა უნდა იყოს," - დაამატა ასევე თავისი გამოსვლისას ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელმა.

ეშტონის შემდეგ სიტყვით ევროპელი კონსერვატორებისა და რეფორმისტების წარმომადგენელი ჩარლზ ტენოკი გამოვიდა, რომელმაც ასევე დაგმო რუსეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და ევროსაბჭოს წევრ ქვეყანაში პოლიტპატიმრების დღემდე არსებობის ფაქტს "მიუღებელი" უწოდა. მისი თქმით, ევროპარლამენტი მრავალი წლის მანძილზე შეშფოთებულია რუსეთში სამართლებრივ სისტემაში მანიპულაციებით. "ბოლო ათწლეულის განმავლობაში ყველაზე თვალშისაცემი მაგალითი ხოდორკოვსკის საქმე იყო. სამართლის არაერთმა სპეციალისტმა, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მრავალმა წარმომადგენელმა დაგმო ხოდორკოვსკის წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებული მიდგომა, ეს, განსაკუთრებით, მეორე სასამართლოს ეხება. ყოვლად მიუღებელია ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში პოლიტიკური პატიმრების ყოფნა. ეს მხოლოდ რუსეთს არ ეხება, ანალოგიური შემთხვევა უკრაინაშიც არის - იულია ტიმოშენკოს საქმე. რუსეთი დიდი ქვეყანაა, მაგრამ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით რეგრესს განიცდის," - განაცხადა ტენოკმა.

სოციალისტებმა კი ევროპარლამენტში, თავის მხრივ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის გენადი გუდკოვისდმი გამოხატეს მხარდაჭერა, რომელსაც რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე სადეპუტატო მანდატის დაკარგვა ემუქრება.

დებატები სტრასბურგში დღეს დასრულდება, მაგრამ იქამდე, ვიდრე კენჭისყრა გაიმართება რეზოლუციის პროექტზე, რომელიც რუსეთში მართლმსაჯულების პოლიტიკური მიზნებით გამოყენებას ეხება, ბრიუსელში რუსეთის წარმომადგენლობის წინ "ამნისტი ინტერნეშენალის" წარმომადგენლები ქუჩის აქციას გამართავენ, სადაც პანკი გოგონების ჯგუფს გამოუცხადებენ მხარდაჭერას და მათ გათავისუფლებას მოითხოვენ.

პუტინი "გაზპრომის" დაცვას ცდილობს

თამთა კახაძე

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ცოტა ხნის წინ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ ბრძანების ხელმოწერა, რომელის მიზანიც "გაზპრომის" საქმეებში ევროკავშირის ჩარევის თავიდან აცილებაა, სახელმწიფო მონოპოლიებს დააზარალებს. გარდა ამისა, ეს დოკუმენტი იმ საერთაშორისო შეთანხმებებს ეწინააღმდეგება, რომლის ხელმომწერიც რუსეთის ფედერაციაა.

თავად იმ კომპანიებში, რომლებსაც ეს ბრძანება ეხება, აზრი ორად გაიყო - ზოგიერთი ეწინააღმდეგება, ზოგიერთი კი ინიციატივას იწონებს.

აღნიშნულ თემას ეხმიანებიან რუსული გამოცემები. მაგალითად, "კომერსანტი" წერს, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ზომები სრულიად მოსალოდნელი იყო. გამოცემის მიხედვით, ამ ბრძანების შესახებ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებამდე, "გაზპრომის" გარდა, არსად იცოდნენ.

"ეს ბრძანება "გაზრპომთან" დაკავშირებით ევროკომისიის გამოკვლევას უკავშირდება," - წერს "РБК daily" კრემლის ჩინოვნიკზე დაყრდნობით.

შეგახსენებთ, რომ ევროკომისია ევროპის ბაზარზე "გაზპრომის" სამი ტიპის დარღვევაზე საუბრობს: ის, რომ სახელმწიფო კომპანიამ ბაზარი დაჰყო; გაართულა ევროკავშირის ქვეყნებისათვის გაზის თავისუფლად მიწოდება და არასამართლიანი ფასები დააწესა.

ბრძანებაში კი მითითებულია, რომ "გაზპრომს" ქვეყნის ხელისუფლების გარეშე ევროკომისიის ნებისმიერი ვერდიქტის შესრულება ეკრძალება. გუშინ საღამოს კომპანიის ხელმძღვანელმა ალექსეი მილერმა უკვე მიმართა ევროპელ მომხმარებლებს, რომლებიც "გაზპრომისაგან" ფასების დაკლებას მოითხოვენ: "ჩვენ ამიერიდან ვეღარ მოგვმართავთ."

თუმცა ზოგიერთი იურისტი აცხადებს, რომ ამ ბრძანებით "გაზპრომისათვის" არაფერი შეიცვლება: "თუ "გაზპრომი" შესაფერის ინფორმაციას არ წარმოადგენს, ეს მისთვის იქნება უარესი: ევროკომისიას ერთ მხარეზე დაყრდნობით მოუწევს გადაწყვეტილების მიღება, მაგალითად, ლიტვის ან პოლონეთის," - აცხადებს ადვოკატი ილია რაჩკოვი.

"გაზპრომის" გარდა, ყველა სხვა სტრატეგიულ კომპანიებში დოკუმენტმა გაურკვევლობა გამოიწვია - ამის შემდეგ ევროპაში მოქმედი შვილობილი კომპანიები რუსული და ევროპული ხელისუფლების მოთხოვნებს უნდა დაემორჩილონ.

თუმცა საბანკო სტრუქტურის ზოგიერთი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ "ეს ნორმალური დამცავი მექანიზმია."

ჰოლანდია: არჩევნები კრიზისის ფონზე

სალომე ჭანიაშვილი

ჰოლანდიის ათასობით მცხოვრები საარჩევნო უბნებზე გამოცხადდა - ქვეყანაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. აპრილში კოალიციური მთავრობა იძულებული გახდა, გადამდგარიყო, რადგან ბიუჯეტის შემცირების საკითხს საკმაოდ დიდი დაპირისპირება და აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა.

ოფიციალური ჰააგის თანახმად, ჰოლანდიელი ამომრჩეველი უნდა შეეცადოს, შეცვალოს ქვეყნის კურსი, რომელიც მან ქვეყანაში მიმდინარე კრიზისთან საბრძოლველად აიღო.

ჰოლანდია არის ევროკავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი ქვეყანა, რომელიც დიდი ხანია, რაც ღია ბაზრის ერთგული მხარდამჭერია. თუმცა ჰოლანდიელთა უმრავლესობას კრიზისის შემდეგ გაუჩნდა კითხვები ევროკავშირში მათი როლის შესახებ, გაუჩნდათ შეგრძნება, რომ მათი მდიდარი ქვეყანა საკმაოდ მაღალ თანხას იხდის იმისთვის, რომ დაეხმაროს ისეთ ქვეყნებს, როგორებიც საბერძნეთი და პორტუგალიაა, მაშინ, როდესაც მოცემულ მომენტში თავად უწევთ კრიზისის დაძლევა.

წინასწარი ვარაუდით, საპარლამენტო არჩევნებში განსაკუთრებული დატვირთვა ექნებოდა მემარჯვენე "ეროვნულ პარტიას თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის", რომლის სათავეშიც არის პრემიერ-მინისტრი მარკ რუთი, და მემარცხენე "ლეიბორისტულ პარტიას", რომლის სათავეშიც არის დიდერიკ სამსონი.

რუთს სურს, რომ შეძლებისდაგვარად შეამციროს ბიუჯეტის დეფიციტი და გამოაცოცხლოს ეკონომიკა ინფრასტუქტურაში ინვესტიციების საშუალებით. მემარცხენეების ლიდერი დიდერიკს სამსომი კი მიიჩნევს, რომ აუცილებელია დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნისთვის სპეციალური პროგრამის შემუშავება.

რუთი გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის მოკავშირეა და მხარს უჭერს მის ხისტ პოლიტიკას. სამსონი კი თავისი შეხედულებებით უფრო ახლოსაა პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდთან, რომელიც გადასახადების გაზრდით ეკონომიკის განვითარებას უჭერს მხარს.

არჩევნების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ძირითადმა პოლიტიკურმა პარტიებმა მონაწილეობა მიიღეს საბოლოო დებატებში, რომელიც ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე გაიმართა. რუთმა ამ არჩევნებზე მიმდინარე მეტოქეობას "უკიდურესად საინტერესო" უწოდა.

სამსონი იყო ერთ-ერთი პირველი ლიდერი, რომელიც არჩევნებზე მშობლიურ ქალაქ ლეიდენში მივიდა. "ამომრჩევლებს მხოლოდ ერთი დღე აქვთ იმისთვის, რომ ჰოლანდია უფრო ძლიერი და სოციალურად პასუხისმგებელი გახადონ," - განაცხადა მან.

რუთის განცხადებით კი, მოსახლეობამ ფუნდამენტური არჩევანი უნდა გააკეთოს და მხარი დაუჭიროს მემარცხენეებს, რომლებიც ფულს სამუშაო ადგილების პროგრამებზე დახარჯავენ. "საფრანგეთი არის ქვეყანა მაღალი საბიუჯეტო დეფიციტით, მაღალი გადასახადებითა და დაბალი ეკონომიკური ზრდით - ეს ყველაფერი კი კარგი არ იქნება ჰოლანდიისთვის. გერმანიას აქვს იგივე ფილოსოფია, რაც ჩვენ - მცირე ვალი და სამუშაო ადგილები," - განაცხადა რუთმა.

პრემიერმინისტრი საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა "თავისუფლების პარტიის" ლიდერმა გერტ ვილდერსმა. მისი განცხადებით, ის შორსმჭვრეტელია, როგორც სირაქლემა, გადამწყვეტი, როგორც ლოკოკინა და საიმედო, როგორც პინოქიო.

აღსანიშნავია, რომ კოალიციიდან ვილდერსის პარტიის გამოსვლა რუთის პრემიერ-მინისტრობიდან გადადგომის მიზეზი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი პოლიტიკოსების შეხედულებები ეკონომიკის კრიზისის დაძლევის საკითხში ერთმანეთს არ ემთხვევა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კოალიციის შექმნა მაინც შესაძლებელია.

წინასაარჩევნო კამპანიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მემარცხენე ფრთას. რამდენიმე თვის განმავლობაში "სოციალისტურ პარტიას" დიდი რეიტინგი ჰქონდა, მაგრამ კენჭისყრამდე ცოტა ხნით ადრე დაეცა. პარლამენტში უმრავლესობის მოსაპოვებლად მომავალ მმართველ პარტიას უნდა ჰქოდეს, მინიმუმ, 76 მანდატი. ამიტომ, სავარაუდოა, რომ კაბინეტის ფორმირება სამი ან ოთხი პარტიისგან მოხდება.

ბათუმში ლეო კარაქსის ბოლო ფილმს აჩვენებენ

ია ვეკუა

"ზეციური მანქანები"

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი კინომოვლენის, ბათუმის საავტორო კინოს მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალის დაწყებამდე სამიოდე დღე რჩება. "24 საათი" უკვე წერდა ფესტივალის საკონკურსო თუ სპეციალურ სექციებში გადანაწილებული პროგრამის შესახებ, რომელსაც დღესაც შეგახსენებთ, თუმცა მთავარი აქცენტი იმ სიახლეზე გვექნება, რომლის შესახებაც ორი დღის წინ გახდა ცნობილი - ოსტატთა კოლექციის სექციის უკვე დაანონსებულ ფილმებს ლეო კარაქსის ბოლო ნამუშევარი "ზეციური მანქანები" (Holy Motors) დაემატა. კარაქსის ფილმის ჩვენება 17 სექტემბერს კინოთეატრ "აპოლოში" შედგება.

ლეო კარაქსის შემოქმედებისადმი ინტერესი ჩვენს კინომოყვარულებს ყოველთვის ჰქონდათ, თუმცა შარშანდელ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე მისმა სტუმრობამ და სამი ფილმის რეტროსპექიულმა ჩვენებამ ამ ფრანგი რეჟისორისადმი დაინტერესება კიდევ უფრო გაზარდა. კარაქსი თბილისს დეკემბერში სტუმრობდა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც "ზეციურ მანქანებზე" მუშაობა არც ჰქონდა დასრულებული, ამიტომ მის შესახებ ვრცლად საუბრისგან თავი შეიკავა. გავიდა რამდენიმე თვე და "მანქანები" იმ 22 ფილმს შორის აღმოჩნდა, რომლებიც კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ორგანიზატორებმა "ოქროს პალმის რტოს" ნომინანტად დაასახელა. საბოლოოდ კანის ტრიუმფატორად მიხაელ ჰანეკეს "სიყვარული" დაასახელეს, კარაქსის ფილმმა კი Award of the Youth დაიმსახურა. პრაქტიკულად ეს იყო პირველი და უკანასკნელი კინოფესტივალი, რომლის პროგრამაშიც აღნიშნული ფილმი მოხვდა, მაჯერად კი მისი ნახვის საშუალება ბათუმის ფესტივალის სტუმრებს ეძლევა.

უნდოდა რა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დიდ ეკრანზე ღირსეულად დაბრუნებულიყო, "ზეციური მანქანებზე" ლეო კარაქსი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა. შესვენება კი მართლაც დიდი ჰქონდა - 1999 წელს გამოსული "პოლა იქსის" შემდეგ ეს მისი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია. ორიოდე მოკლემეტრაჟიანის გარდა 2008 წელს პროექტ "ტოკიოს" ერთ-ერთი სეგმენტი Merde გადაიღო, რომლის ამავე სახელის მქონე პერსონაჟი "ზეციურ მანქანებშიც" გვხვდება. ამ პერსონაჟს კარაქსის პრაქტიკულად ყველა ფილმის მსახიობი დენი ლავანი ასრულებს. ალბათ გახსოვთ მისი მწვანით მოსილი მაწანწალა, ამოუცნობი არსება საკანალიზაციო ლუქიდან რომ ძვრება და ტოკიოს ისედაც გიჟური ცხოვრების ტემპში მეტი არეულობა შეაქვს.

დელი ლავანის გარდა "ზეციურ მანქანებში" ევა მენდესი, კაილი მინოუგი და მიშელ პიკოლი თამაშობენ. ფილმში ჩანს ნასტია გოლუბევა-კარაქსიც - ლეო კარაქსისა და ეკატერინა გოლუბევას შვილი, თავად ფილმი კი სწორედ შარშან გარდაცვლილ ეკატერინა გოლუბევას ეძღვნება. შეგახსენებთ, რომ ეს რუსი მსახიობი არა მხოლოდ კარაქსის მეუღლე, არამედ მისი მუზაც გახლდათ და "პოლა იქსში" გიომ დეპარდიესა და კარტინ დენევს უწევდა პარტნიორობას.

ოსტატთა კოლექციაში ლეო კარაქსის ფილმის გარდა ასევე წარმოდგენილი იქნება პოლონელი იერჟი ჰოფმანის "ვარშავის ბრძოლა-1920", თურქი ნური ბილგე ჯეილანის "გაუცხოება" და "ერთხელ ანატოლიაში", ბრიტანელი კენ ლოუჩის "ანგელოზის წილი" და ირანელი დარიუშ მეჰრჯუის "ნარინჯისფერი ფორმა". აქვე შეგახსენებთ, რომ იერჟი ჰოფმანი და ნური ბილგე ჯეილანი მასტერკლასებსაც ჩაატარებენ.

დაპირებისამებრ კიდევ ერთხელ გაგაცნობთ მხატვრული ფილმების კონკურსის ფილმებს: შარშანდელი ვენეციის კინოფესტივალის "ოქროს ლომის" ნომინანტი, მარიან სატრაპისა და ვინსენტ პარონოს "ქათამი ქლიავით", "ოსკარის" საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინანტი "სიბნელეში" (რეჟისორი აგნეშკა ჰოლანდი), სერგეი ლოზნიცას კანის კინოფესტივალის "ფიპრესის" პრიზის ლაურეატი "ნისლში" და ირანელი ალი მოსაფას "უკანასკნელი ნაბიჯი" (ამ ფილმში მთავარ როლს "ნადერისა და სიმინის გაყრის" ვარსკვლავი ლეილა ჰატამი თამაშობს). ასევე კონკურსის ფილმებს შორისაა ნორვეგიელი მარტინ ლანდის "თითქმის ადამიანი", თურქი ამინ ალპერის "ბორცვებს მიღმა", ბრიტანელი რუფუს ნორისის "გატეხილი", უკრაინელი ევა ნიმანის "სახლი კოშკით" და ესტონელი პიტერ სიმის "ეული კუნძული". ცნობილია მხატვრული ფილმების ჟიურის კონკურსის შემადგენლობაც: ელდარ შენგელაია, სერგეი ლავრენტიევი (რუსეთი), ნიკ ჰოლდსვორთი (დიდი ბრიტანეთი), გეორგი რალფი (უნგრეთი) და პეტრ ზელენკა (ჩეხეთი).

ბათუმის კინოფესტივალი 16 სექტემბერს გაიხსნება და 23 სექტემბერს ჟიურის რჩეულთა დაჯილდოების ცერემონიალით დაიხურება. ფესტივალის ორგანიზატორია ბათუმის ხელოვანთა სახლი "არგანი", ხოლო ფილმების ჩვენებები ბათუმის კინოთეატრ "აპოლოსა" და სასტუმრო "რადისონის" დარბაზში გაიმართება.

"თიბისი ბანკის" ახალი სათავო ოფისის შენობის გამარჯვებული პროექტები გამოვლინდა

"თიბისი ბანკის" ახალი სათავო ოფისის შენობის საკონკურსო პროექტებს შორის გამარჯვებული პროექტები უკვე გამოვლინდა. გამარჯვებულების საზეიმო დაჯილდოების ცერემონია გუშინ, თიბისი ბანკის" ახალი სათაო ოფისის მომავალი შენობის ტერიტორიაზე გაიმართა.

გამარჯვებული პროექტის ავტორს "თიბისი ბანკი" 50.000 ლარით დააჯილდოებს, ხოლო მეორე და მესამე ადგილზე გასული პროექტების ავტორები 30.000 და 20.000 ლარით დაჯილდოვდებიან.

"თიბისი ბანკის" ახალი სათავო ოფისი ვაკე-საბურთალოს გზაზე, ყოფილი ამიერკავკასიის სამხედრო შტაბის შენობაში განთავსდება. შენობას რეკონსტრუქცია გამარჯვებული პროექტის შესაბამისად ჩაუტარდება.

აღსანიშნავია, რომ შენობა "თიბისი ბანკმა" ექვსი თვის წინ ტენდერის წესით შეიძინა, რის შემდეგაც რეკონსტრუქციის პროექტის შექმნაზე საერთაშორისო კონკურსი გამოაცხადა. კონკურსში, ქართული არქიტექტორების და არქიტექტორული კომპანიების გარდა, ასევე მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოში ცნობილი არქიტექტურული კომპანიები გერმანიიდან, ესპანეთიდან, ჰოლანდიიდან, იტალიიდან და სხვა ევროპული ქვეყნებიდან. კონკურსს ხელმძღვანელობდა რომის 21-ე საუკუნის ხელოვნების ნაციონალური მუზეუმის MAXXI არქიტექტურის მიმართულების ხელმძღვანელი, ცნობილი იტალიელი არქიტექტორი, პიპო ჩორა (Pippo Ciorra).

"თიბისი ბანკში" აცხადებენ, რომ ასეთი მასშტაბის არქიტექტორული კონკურსი საქართველოში, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, არ ჩატარებულა. კონკურსში წარმოდგენილი 34 პროექტიდან ოთხი გამარჯვებული გამოვლინდა - მესამე ადგილზე ორი პროექტი გავიდა. გამარჯვებული პროექტების ავტორები ჟიურის თავმჯდომარემ, პიპო ჩორამ და თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელმა მამუკა ხაზარაძემ დაასახელეს. პირველი ადგილზე გასული პროექტის ავტორი ბალტიისპირელი არქიტექტორი ანდრიუს ამბრასასი გახლავთ. სწორედ მისი პროექტის მიხედვით განხორციელდება "თიბისი ბანკის" ახალი სათავო ოფისის რეკონსტრუქცია.

ბანკში აცხადებენ რომ, "რეკონსტრუქციის შემდეგ, "თიბისი ბანკის" ახალი სათავო ოფისი იქნება ყველაზე დიდი ოფისი ბანკების დღეს არსებულ ოფისებს შორის, ხოლო როგორც ბიზნეს-ცენტრი, ასევე, ყველაზე დიდი საქართველოს მასშტაბით. გარდა ამისა, ახალი შენობა იქნება ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე, ღირსშესანიშნავი არქიტექტორული ნაგებობა, რომელიც მსოფლიოში დღეს არსებულ ყველა არქიტექტურულ სტანდარტს დააკმაყოფილებს".

თბილისში წყალბურთელთა ჩემპიონთა ლიგა მოდის

თბილისის საცურაო აუზი "ოლიმპიკი" წყალბურთში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო წრის A ჯგუფის მატჩებს უმასპინძლებს. 14-16 სექტემბერს პირველად ქართული წყალბურთის ისტორიაში საქართველოს ჩემპიონი - "ლიგამუსი-თბილისი" ითამაშებს.

ქართველ წყალბურთელთა მეტოქეები იქნებიან ესპანური "საბადელი", ბელარუსული "ვიტბიჩ ვიტებსკი" და პოლონური "არკონია შჩეცინი".

ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ეტაპზე საუკეთესო ჯგუფის საუკეთესო ორი გუნდი გავა, მესამე და მეოთხე ადგილზე გასულები კი ევროპის თასის შესარჩევ ეტაპზე გადაინაცვლებენ.

და კიდევ ის, რომ გულშემატკივრებისთვის მატჩებზე დასწრება თავისუფალია.

წყალბურთში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი. თბილისი, საცურაო აუზი "ოლიმპიკი", 14-16 სექტემბერი

14 სექტემბერი

17:15 საბადელი (ესპანეთი) - ვიტბიჩი (ბელარუსი)

19:00 **ლიგამუსი (საქართველო)** - არკონია (პოლონეთი)

15 სექტემბერი

17:15 არკონია (პოლონეთი) - ვიტბიჩი (ბელარუსი)

19:00 **ლიგამუსი (საქართველო)** - საბადელი (ესპანეთი)

16 სექტემბერი

10:15 საბადელი (ესპანეთი) - არკონია (პოლონეთი)

12:00 **ლიგამუსი (საქართველო)** - ვიტბიჩი (ბელარუსი)

გიორგი ლორიას პირველადი გამოკვლევები ჩაუტარდა

სოციალურ ქსელებში მატჩის გმირად შერაცხული საქართველოს ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" მეკარეს გიორგი ლორიას ტრავმის შესახებ თბილისის "დინამოს" ოფიციალური გვერდზე ლორიას და თბილისის "დინამოს" ექიმის მერაბ ვარძუკაშვილის კომენტარებს აქვეყნებს.

გიორგი ლორია: მატჩის მიმდინარეობისას სტადიონზე მოსული მაყურებლის მხრიდან ისეთ მხარდაჭერას ვგრძნობდი, რომ უზომოდ ბედნიერი ვარ. ასეთი გულშემატკივრობა დამატებით ძალებს მაძლევდა. ძალიან დამწყდა გული, რომ თამაშის გაგრძელება ვეღარ შევძელი. მოედანზე დარჩენის უმცირესი შანსიც არ არსებობდა. მინდა ყველა ქომაგს და ყველა იმ ადამიანს გადავუხადო მადლობა, რომელიც ინტერესდებოდა და ახლაც ინტერესდება ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობით.

შეხვედრაში ყველა ფეხბურთელმა მაქსიმუმი გაიღო. ყველაფერი წინ არის და დიდი იმედი მაქვს, რომ ქართველი გულშემატკივრის გახარებას შევძლებთ.

მერაბ ვარძუკაშვილი: დღეს დილით გიორგის Medi Club Georgia-ში პირველადი გამოკვლევები გაუკეთდა. გამოკვლევების საფუძველზე მას აღენიშნება მუხლის სახსრის და მის გარშემო არსებული რბილი ქსოვილების შეშუპება, რაც ზუსტი დიაგნოზის დასმის საშუალებას ვერ იძლევა. გამომდინარე აქედან გიორგის ესაჭიროება მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიული კვლევა. როდის შეძლებს გიორგი ვარჯიშს ცნობილი ორიოდ დღეში გახდება.

...შეგახსენებთ, რომ საქართველო-ესპანეთის (0:1) 73-ე წუთზე ესპანელტა შეტევის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილი და გიორგი ლორია ერთმანეთს შეეჯახნენ, რაც საქართველოს კარის დარაჯის მძიმე ტრავმით დასრულდა.

სტატისტიკაზე მკვლელი შტეფი

ალექსანდრე ასათიანი

სერენა უილიამსმა ნიუ იორკში მეთხუთმეტე მეიჯორი მოიგო. მეთხუთმეტე ერთეულებში, ოცდამეათე ისე და ბუნჩულა გოგონა დიდი სლემის ისტორიული რეიტინგის პირველ ათეულშია. დაიკოსთან ერთად მოხსნილი 13 ჯეკპოტიც მსუყე, გემრიელი იყო. პირველ სამეულში შესვლა მოსულა და მაგარი რთული იქნება. ვენუსი თითქმის ვერ იგებს და ძირითადად, სერენას გულშემატკივრობით იღლება. სერენა ერთეულებში 9 მეიჯორს ვერ აიღებს და წყვილებში, სხვასთან ერთად არ გავა კორტზე. პირველ ხუთეულში შესვლაც რთული იქნება. უილიამსი რეალურად, მთელ პრო ტურზე ნიჭიერი და მკვლელი გოგონაა. აზარენკები, შარაპოვები და კვიტოვები სადღაც, რაღაცას აიღებენ, თუ იქ, იმ გარჩევაში სერენა არ თამაშობს ან დაღლილია. დასვენებული სერენა იგებს. და სულ მოიგებს.

ამ რეიტინგში პირველზე მარგარეტ კორტია. ავსტრალიის, ელბერის ერთი უბნის ერთი ჩვეულებრივი ახალგაზრდა, რომელიც თავის დროზე ყველაფერს იგებდა. კორტი კორტზე ტორნადო იყო. ხის ჩოგნით იმ, მეორე გოგონას სისხლისგან ცლიდა, არ ინდობდა, უხერხულში აგდებდა. კორტმა 62 მარწყვის ტორტი შეუკვეთა, თითო ტორტიდან თითო ნაჭერი აითვისა და დღეს ისვენებს. ქალბატონი მარგარეტი 70 წლის დიასახლისია, რომელიც თვეში ერთხელ ბევრ რაღაცას იხსენებს და ასაკთან დაქალობს.

შტეფი გრაფს ერთეულებში 22 მეიჯორი აქვს მოგებული

მეორეზე ბატონი მარტინა ნავრატილოვაა. ყველაზე, ნუ, ალბათ, ყველაზე სხვანაირი მანდილოსანი მანდილოსნებში. აქტიური და სწრაფი კორტზე და არაკორტზეც. ნავრატილოვა არ იგებდა. მარტინას ბადესთან პატარა კოოპერატივი ჰქონდა გახსნილი, ანანასის წვენს წრუპავდა და მეგობარ გოგონებთან მეგობრობდა. მარტინამ დიდი სლემის ბოლო ტურნირი 6 წლის წინ მოიგო. მიქსტში, ბობ ბრაიანთან ერთად. ბობიმ 50 წლის ბებოსთან ერთად ფინალში ჩეხური წყვილი, კვეტა პეშკე და მარტინ დამი 6:2, 6:3 გადახერხა. მარტინა ლეგენდაა. ჩოგბურთის მიკ ჯაგერი, რომელიც არ ისვენებს. ნავრატილოვა დღესაც ბევრს თამაშობს, დელტაპლანით დაფრინავს და ოჯახურს აწვება.

	S	D	M	სულ	პერიოდი
1. მარგარეტ კორტი	24	19	19	62	1960-1975
2. მარტინა ნავრატილოვა	18	31	10	59	1974-2006
3. ბილი ჯინ კინგი	12	16	11	39	1961-1980
4. მარგარეტ ოზბორნ დიუპონი	6	21	10	37	1941-1962
5. დორის ჰარტი	6	14	15	35	1947-1955
6. ლუიზა ბროუ კლეპი	6	21	8	35	1942-1957
7. ჰელენ უილის მუდი	19	9	2	31	1923-1938
8. ელიზაბეთ რაიანი	0	19	11	30	1913-1934
8. სერენა უილიამსი	15	13	2	30	1998-2012
10. შტეფი გრაფი	22	1	0	23	1987-1999
11. პემ შრაივერი	0	21	1	22	1981-1991
11. ვენუს უილიამსი	7	13	2	22	1998-2012
13. სიუზან ლენგლენი	8	8	5	21	1919-1926
13. კრის ევერტი	18	3	0	21	1974-1986
15. ნატაშა ზვერევა	0	18	2	20	1989-1997
16. მარია ბუენო	7	11	1	19	1958-1968
17. შირლი ფრაი ირვინი	4	12	1	17	1950-1957
17. ჯიჯი ფერნანდესი	0	17	0	17	1988-1997
17. იანა ნოვოტნა	1	12	4	17	1988-1998

რას ნიშნავს: **S** (ერთეულებში), **D** (წყვილებში), **M** (მიქსტში)

მეათეზეა შტეფი გრაფი. და გერმანელი პირველია. ბევრ ამბავში. შტეფის ღია ერაში, ერთეულებში დიდი სლემის 22 ფინალი აქვს მოგებული. შტეფი იგებდა სამ დეკადაში და შტეფი უგებდა სამი დეკადის პიტბულებს. გრაფი ელეგანტურად, ერთი ლაზერული ფორჰენდით ანაპალმებდა სხვის ტერიტორიას. გრაფი ჩვენი გოგო იყო. 1988 შტეფი იმ სეზონში პრო ტურის ბობ დილანია. გრაფმა მოიგო დიდი სლემი. მთლიანად, დიდი სლემი. მოიგო ოთხივე დიდი ტურნირი (Australian Open, French Open, Wimbledon, US Open) ერთეულებში და მოიგო ოლიმპიადა. შტეფი უიმბლდონის წყვილებშიც გაერთო და გაბრიელა საბატინისთან ერთად ფინალში, ლარისა სავჩენკოს და ნატაშა ზვერევას დაქალური დუეტი დაღალა 6:3, 1:6, 12:10. მაგარი ფინალი იყო.

ზვერევა სერიოზული მეწყვილე იყო. ნატაშა იგებდა სავჩენკოსთან ერთად და მერე ჯიჯი ფერნანდესთან დაქალობა დაიწყო. ზვერევამ ექვსჯერ მოიგო როლან გარო. ბევრია. წყვილებში ზვერევამ დიდი სლემის 18 ფინალი წამოიღო და კიდევ 13 წააგო. ზვერევას ბოლო ფინალი 13 წლის წინ ავსტრალიაში იყო. ნატაშამ და ლინდსი დავენპორტმა მარტინა ჰინგისს და ანა კურნიკოვას ვერ გადაუჯოკრეს (5:7, 3:6). თავის ამბავში, ზვერევაც ლეგენდაა.

და ამ სიაში მაინც შტეფი ჩანს. გერმანული ბორმანქანა თავისი შარმით და ქალური ქცევით.

კლასიკური, კარგი მანუ

მანუ ერთ თამაშში საშუალოდ 2.9 ჩაჭრას აკეთებს

მანუჩარ მარკოიშვილი ამ საკვალიფიკაციოში 18.0 ქულას იღებდა

გიორგი ბუსკირის ფოტოები

ზურაბ თალაკვაძე

მანუჩარ მარკოიშვილი საქმეს სოლიდურად აკეთებს. რაღაც მომენტში გინდა, რომ ნაკრებში ერთზე მეტი მანუ იყოს. მარკოიშვილმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლი მაგრად დახურა. ჩვეულებრივი, სანდო სტატისტიკა. ჩვეულებრივი მანუსთვის და რეალურად მთქმელი - სხვისთვის. მარკოიშვილი საკვალიფიკაციოს ამბებში - 8 თამაში, 18.0 ქულა, 4.0 მოხსნა, 3.1 პასი, 2.9 ჩაჭრა. ეს სტატისტიკა ჩვენმა ბიჭმა არასრულ 33 წუთში დასვა. მარკოიშვილი პირველია ჩაჭრებში. პირველია საქართველოს ნაკრებში და პირველია ყველა დანარჩენ ნაკრებში. ქულებში მანუჩარი მეათეზე ზის და ორიანების პროცენტით იგორ კოკოშკოვის შუთერი მეათეზეა. სოლიდურად, პროფესიონალურად, გემოვნებით. რამდენიმე კარგი ბიჭით და პერსპექტივაში რეალური პერსპექტივით, სლოვენიაში საქართველო მეორე ეშელონის ფავორიტებში იჯდება. ლიტვაში პირველი დონე გავიარეთ, მაკედონიასთან მაკალებმა წაგვართვა ბონუსი და მერე ხალხი ტრავმებით დავკარგეთ. ტრავმები ცუდი რაღაცაა. სლოვენიაში სხვები უნდა დავშალოთ და ეს პროცესი მარკოიშვილის სროლით, მანუს დაცვით და მთელი გუნდის მენტალური სტამინით უნდა წავიდეს.

ამ ციკლში მარკოიშვილს თამაში არ ჩაუგდია.

28 წუთი აქ, **რუმინეთთან**. 14 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი, 3 ჩაჭრა. 7/4 სამიანიც ხოშიანია. რუმინეთი 80:64 გადავჭერით. მშვიდად, ემოციურად და უემოციოდ.

35 წუთი **ბოსნიაში** და იქ მარკოიშვილი სოლიდური იყო. 17 ქულა, 12/8 საშუალო, 3 პასი, ორი მოხსნით და 5 ჩაჭრით. ბოსნიას პირველ ტაიმში მაგარი მოხვდა. საბოლოოდ, 96:95.

საკუთარ ტერიტორიაზე **ლატვიას** ვიღებთ. 33 წუთი, 9/5 ორიანი, 4/3 სამიანი, 5 მოხსნა, 4 პასი. 5 ჩაჭრაც ასწორებს. მარკოიშვილი დისკომფორტს უქმნის რიჰარდს კუკსიქსს, რომელიც ლატვიაში კარგი ბიჭი და ერთ-ერთი ლიდერია (12.1 ქულა). კუკსიქსი 7 ქულაზე დაჯდა. მანუმ 19 შეკრა და დაისვენა. ლატვიასთან 79:76 გავქაჩეთ.

ჰოლანდიაში რაღაცეები არ წავიდა, სადღაც ბურთი დაიკარგა, ჰოლანდიამ კარგი კალათბურთი შეუბერა და არ იყო ვიკა სანიკიძე. მარკოიშვილი 33 წუთში **15** ქულის, 3 მოხსნის, 3 პასის და 3 ჩაჭრის წამოღებას ასწრებს. 5/5 საშუალო მაგარია. 88:91 უსიამოვნო იყო. იმ მომენტში უსიამოვნო.

მეორე წრე **რუმინეთში** გაიხსნა. 31 წუთი, **17** ქულა, 13/7 თამაშიდან. მარკოიშვილი, მანუს მეგობრები, ჩვენც ვერთობით. რუმინეთმა რუმინულად გააკეთა საქმე. ჩვენ - არარუმინულად. მოსაგებად საკმარისია. 91:74. კოკოშკოვი შემდეგ ტესტზე ფიქრობს. თბილისში ის კრიმინალი, ტელეტოვიჩი მოდის. ბოსნიასთან და ზაკ რაიტთან ერთად.

ბოსნიასთან მანუმ დაგლიჯა. სტანდარტულად სტაბილური დრო (33), სტანდარტულად სტაბილური პროცენტი თამაშიდან (12/6) და არასტანდარტულად ბევრი ნასროლი (10) და ჩასმული (9) საჯარიმო. მარკოიშვილმა 23 ქულა ხია. 4 მოხსნა და 4 პასიც რესპექტაბელურია. მერე ბოსნიამაც გვხია, 107:103. მარკოიშვილი ადის დედოვიჩზე და დედოვიჩი არ ჩანს. მანუ ადის რაიტზე და ზაკი ჩერდება. ბოლო მომენტში, პულენს მანუზე უნდა ეთამაშა. მარკოიშვილი ჩააგდებდა. მანამდე ტელეტოვიჩის ცელქობამდე, მანუმ სამიანით 103:102 დასვა და მირზამ ჩააგდო და ბოსნიამ მოიგო. ცუდი იყო.

ლატვიაში კოკოშკოვმა გლადიატორების ნაკრები ჩაიყვანა. იქ ყველა ვარიანტში მოსაგები იყო. პრინციპის, კიდევ სხვა რაღაცის გამო. ლატვიაში ლატვიამ ლატვიურად ვერ შეუბერა და ეს კოკოშკოვის მოქნილმა დაცვამ, მარკოიშვილმა, ვიკამ, ზაზა ფაჩულიამ, ბუმ გააკეთეს. 73:70 და ჰოლანდიასთან გართობამდე მეორეზე დავჯექით. მარკოიშვილი ლატვიასთან - 17 ქულა, 6 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 7/5 თამაშიდან. კლასიკა.

ბოლო ტესტი ვან ბასტენის უბნელებთან იყო. ბოლო ტესტში იგორ კოკოშკოვმა დაასვენა ზაზა და თორნიკე შენგელია. ბოლო ტესტში მანუჩარმა ჩვეულებრივად ითამაშა. 34 წუთი, 17/8 თამშიდან, 9/6 საშუალო, 4/4 საჯარიმო, 5 მოხსნა, 5 პასი, 5 ჩაჭრა, სადისტური დაცვა და ლტოლვა. მარკოიშვილმა 22 ქულა აიღო. ციკლი დაიხურა. ჰოლანდია ერთჯერადი იყო. საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ვიზას იღებს. სლოვენიაში სერიოზული ტესტები წავა. ახალ, შეცვლილ საქართველოსთან ერთად. სლოვენიაში ფავორიტები ფავორიტები იქნებიან და ჩვენც უნდა მოვუმატოთ. გავერთობით. მანუსთან ლაპარაკს ციკლის რევიუთი ვიწყებთ.

მანუჩარ მარკოიშვილი - ალბათ, რაღაც დრო უნდა გავიდეს და რაც მოხდა, რაც გავაკეთეთ, როგორც გავაკეთეთ, უკეთ გაიშიფრება და გასარჩევიც მეტი იქნება. ევროპის ჩემპიონატზე ვართ. ეს უკვე წარმატებაა. საინტერესო, რთული ჯგუფი იყო და მეორე ადგილი ნორმალური, მისაღები შედეგია. შეიძლებოდა პირველზე გასვლაც და მესამეზეც. იყო შეცდომები, მაგრამ ეს ნორმალურია. ბოსნიაში ძალიან კარგი პირველი ტაიმი გვქონდა და ჰოლანდიაში უყურადღებოდ, ცუდად გავაკეთეთ საქმე. ქართული ხასიათი, რაღაც მომენტში არაპროფესიონალიზმი და ვაგებთ ჰოლანდიასთან. ვაგებთ გუნდთან, რომელიც ჩვენზე სუსტია და რომელმაც დაინახა, რომ იმ მომენტში ჩვენთან მოგება რეალური იყო. ლატვია ძალიან კარგია და ამ გუნდთან ორივე თამაშის მოგება რთული, სასიამოვნო იყო. ლატვიამ მოუმატა, სწრაფი, ლამაზი კალათბურთით პრობლემებს გიქმნის და ჩვენ ამისთვის მზად ვიყავით. მწვრთნელებმა კარგად იმუშავეს. როგორც გითხარით, ყველაფრის უკეთ გასარჩევად ცოტა მეტი დრო უნდა გავიდეს. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა ჩვენთვის დიდი წარმატებაა. ლიტვაში ვითამაშეთ, მივიღეთ გამოცდილება. არ ვიცი, რა იქნება სლოვენიაში, მაგრამ ჩვენ იქ ნამდვილად ვიქნებით და ეს მთავარია.

- მოდი, ეს და წინა ციკლის ნაკრებები შევადაროთ.

- წინა ნაკრებში იყო ყველაფერი ის, რაც წლების განმავლობაში გვჭირდებოდა, გვქონდა, გროვდებოდა. ამ ნაკრებში აღარ არის ვლადიმერ ბოისას გამოცდილება, რომელიც ლიტვაში და წინა ციკლში მნიშვნელოვანი იყო. ამ ნაკრებში აღარ არის ნიკა ცქიტიშვილის სამიანები. მაღალი მოთამაშე, მეოთხე ნომერი ამოდის პერიმეტრზე და სამიანებს ისვრის. წარმატებისთვის საჭირო ელემენტი. ნიკამ ნაკრებს ბევრი მისცა. ლაშა გამყრელიძე და ლაშას დაცვა პრესინგზე, მისი ენერგია. ეს ყველაფერი იყო და ამით და ბევრი სხვა კომპონენტით, ლიტვაში და ლიტვამდე ვიგებდით. დღეს ცოტა სხვა კალათბურთს ვთამაშობთ და საკვალიფიკაციოში ახალი ნაკრების კონტურები უკვე ჩანდა. ვიღაცამ მოუმატა, ვიღაცამ უნდა მოუმატოს. პოტენციალი, ნიჭი არის და ამ ყველაფერს გამოყენება უნდა. სლოვენიამდე დრო არის, ყველაფერი კარგად იქნება. შედარება არ გამოდის. ორივე ნაკრები იდეაში, ერთი ნაკრებია. რამდენიმე ცვლილებით. შეიცვალა ნატურალიზებული მოთამაშეც. ვნახოთ რა...

- ბოსნიასთან ორი განსხვავებული თამაში იყო. თითქმის იდეალური პირველი მეოთხედი გასვლაზე და ცოტა გაუგებარი თამაში თბილისში.

- ბოსნიაში თავიდან ყველაფერი კარგად წავიდა. დაცვაში თითქმის არ იყო შეცდომები, წავიყვანეთ ოც ქულამდე და თამაშის ბოლომდე სულ წინ ვიყავით. იქ იყო მომენტი, როდესაც ბოსნიამ ჩასაგდები ვერ ჩააგდო, მაგრამ ჩვენ უფრო მეტი შანსი ვერ გამოვიყენეთ. იგივე შეცდომა იყო შემდეგ ლატვიასთან. ბევრით ვიგებთ, ვუშვებთ შეცდომებს და თამაში იძაბება. ბოსნიაში ბოსნიაზე უკეთესები ვიყავით. ლოგიკა სხვა თემაა, უბრალოდ, მოვიგეთ. თბილისში, დაცვაში ბევრი შეცდომაა. შენი მოწინააღმდეგე 107 ქულას არ უნდა აგროვებდეს. ბევრია. ბევრი არა, ძალიან ბევრია. ეს არ არის NBA, აქ არ გაქვს 48 წუთი და როდესაც 103 ქულით თამაშს მაინც აგებ, ესე იგი, სერიოზული პრობლემები გაქვს დაცვაში. ბოსნია ძალიან კარგი გუნდია, მაგრამ არა იმდენად კარგი, რომ 40 წუთში 107 ქულა აიღოს. ეს უფრო ჩვენი მინუსია, ვიდრე მეორე გუნდის დამსახურება.

- ეს ნაკრები მზად არის ევროპის ჩემპიონატისთვის?

- ეს ნაკრები მზად არის მაღალ დონეზე სათამაშოდ. თუ ყველაფერს გავაკეთებთ ისე, როგორც ლატვიაში, მაშინ ნაკლები პრობლემა იქნება მოსაგვარებელი. თუ დაცვაში თამაში დაგვეზარება და წამოვა შეცდომები, ავტომატურად, მეტი პრობლემა მოდის. საერთოდ, დაცვა არის ნებისმიერი მოთამაშის მონდომება და შესაძლებლობა. თუ ლატვიაში საქმეს ვაკეთებთ და ლატვიას დაცვით ვუგებთ, ლოგიკურად, იგივეს გაკეთება შეგვიძლია ბოსნიასთან, ნებისმიერ სხვა გუნდთან. ლატვია საკმაოდ მაღალი დონის ნაკრებია. ბოსნიაც. ასე რომ, თუ არ დაგვეზარება რაღაცეების გაკეთება, სლოვენიაში ჩვენთვის მისაღები შედეგი იქნება. მწვრთნელებს საკმარისი დრო აქვთ და რაც მოსაგვარებელია, იდეაში, უნდა მოგვარდეს. დაცვაში კარგი, შედეგის მომტანი თამაში შეგვიძლია. უბრალოდ, ეს უფრო სტაბილურად უნდა გავაკეთოთ და არა - ფრაგმენტულად.

- მაგარი საინტერესო საკვალიფიკაციო ტურნირი იყო. პრობლემები შეექმნა სერბეთს, თურქეთს, რომელიც ბოლო მსოფლიოზე მეორეა. შეიცვალა და უკეთესი გახდა იტალია, ყველაფერი მოიგო მონტენეგრომ. თითქმის გავიდა ევროპაზე აზერბაიჯანი. საერთო დონე კიდევ უფრო გათანაბრდა?

- კი, საერთო დონე გათანაბრდა. ევროპის ჩემპიონატზე საქართველომ შეუქმნა პრობლემები მაკედონიას, რუსეთს და საბოლოოდ, ეს გუნდები პირველ ოთხეულში შევიდნენ. შეიძლება წააგო შენზე სუსტ გუნდთან, რომელიც იმ კონკრეტულ მომენტში შენზე უკეთ აკეთებს ყველაფერს. ის პრობლემები, რაც გუნდებს ამ ეტაპზე შეექმნათ, მოგვარებადია. სერბეთს, სხვა ფავორიტებს აქვთ მომატების რესურსი. ჩვენც უნდა მოვუმატოთ. ყველა ცდილობს ბოლომდე გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობა და ეს ჩვეულებრივი, ნორმალური პროცესია. ბევრმა გუნდმა ლიდერების გარეშე ითამაშა, მაგრამ თუ იგებ, ამას გუნდურად, დაზღვევით, დაცვით, კომპლექსურად აკეთებ. იტალიამ ყველა თამაში მოიგო და იქ ლიდერი დანილო გალინარია. ძალიან ძლიერი, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი, მაგრამ იტალია არ არის მხოლოდ გალინარი. სლოვენიისთვის იტალია, საერთოდ, ყველა მოუმატებს. ალბათ, უკეთესი იქნება საქართველოც. უნდა დავისვენოთ, კიდევ ერთხელ გავიაროთ ყველაფერი და აკურატულად გავაკეთოთ საქმე. სლოვენიაში საინტერესო ტურნირი იქნება.

დელ ბოსკე: საქართველოსთან იოლი არაფერი იყო

გიგა გურასაშვილი

ესპანეთთან წაგებული თამაშის მიუხედავად, საქართველოს ნაკრები არავის გაუკიცხავს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მატჩამდეც და მატჩის შემდეგაც არაერთხელ აღინიშნა, ბოლოს და ბოლოს ყველა დროის საუკეთესო გუნდს ვეთამაშებოდითო. თავის დროზე, უფრო სწორად სამხრეთ აფრიკის მსოფლიო ჩემპიონატისას, გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა თქვა, მესის არგენტინას კი მოვუგეთ, მაგრამ ესპანეთს არაერთი მესი ჰყავსო.

ამ შესავლის შემდეგ ესპანეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ვისენტე დელ ბოსკესაც მოვუსმინოთ, რომელიც ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ვებ-გვერდთან საქართველოს ნაკრებთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებებზე საუბრობს.

ესპანელთა თავკაცის თქმით, საქართველოსთან მოგებული რთული შეხვედრა კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ რამდენად გათანაბრდა მსოფლიო ფერბურთში საერთო დონე.

ფაქტია, მსოფლიოს და ევროპის მოქმედ ჩემპიონებს გამარჯვების გოლამდე 86-ე წუთამდე მოუწიათ ლოდინი. დელ ბოსკეს თქმით, მათ საქართველოს ნაკრები შეისწავლეს, ამიტომაც მისთვის არ ყოფილა სიურპრიზი, რამდენად რთული იქნებოდა თემურ ქეცბაიას გუნდის დამარცხება.

"მინდა მივულოცო საქართველოს ბრწყინვალე თამაში. მათ, საკუთარი ენთუზიაზმით დიდი პრობლემების წინაშე დაგვაყენეს. ოსტატურად იგერიებდნენ ჩვენს შეტევებს, როგორც ფლანგებზე ისე ცენტრში. აქედან გამომდინარე, იოლი თამაში არ იყო, საქმე გაგვირთულეს. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი სამი ქულა მოვიპოვეთ. ვიცოდით, რომ ორგანიზებულები იქნებოდნენ, რომ დაცვაზე ექნებოდათ აგებული თამაში და რომ ფონს გასვლას შეეცდებოდნენ საკუთარი მოთამაშეების სისწრაფით, რაც თავის მხრივ, მათ საშუალებას მისცემდათ დავეჭირეთ კონტრშეტევაზე. ერთი სიტყვით, ფრთხილად უნდა ვყოფილიყავით. არ გეგონოთ, რომ ყოველივეს თავაზიანობის გამო ვამბობდე.

...ფეხბურთში ყოველდღიურად მცირდება სხვაობა. ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ. გავიაროთ საკვალიფიკაციო ეტაპი. სხვა რამეზე ფიქრის უფლება არ გვაქვს, გარდა შესარჩევის დაძლევისა".

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ვებ-გვერდთან საუბარში დელ ბოსკე მატჩისას განხორციელებულ ცვლილებებზეც საუბრობს: "სხვადასხვა ვარიანტი გვქონდა მათი დაცვის დასაშლელად. საამისოდ გადავწყვიტე, რომ მოედანზე შემეშვა სესკი და პედრო, რომლებმაც ამ მხრივ გარდატეხა შეიტანეს და ბოლოსკენ დაცვის ხაზი გატეხეს".

ამავე ვებ-გვერდთან საუბრობს 86-ე წუთზე საქართველოს კარში გოლის გამტანი რობერტო სოლდადოც: "მთავარი ისაა, რომ მოვიგეთ. ეს ისაა, რისკენაც მივისწრაფვოდით. მადლობა ღმერთს, რომ გოლის გატანა შევძელი, რომელმაც სამი ქულა მოგვიტანა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბრაზილიის მსოფლიო თასის შესარჩევი მოგებით დავიწყეთ.

...რთული თამაში იყო, განსაკუთრებით გართულდა თავისუფალი სივრცის პოვნა. გუნდი (საქართველოს ნაკრები) ჩვენს გარემოცვას მეტად ზღუდავდა. ფაქტობრივად, კედელივით აღიმართნენ ჩვენს წინაშე და იმ ადგილს არაფრის დიდებით არ ტოვებდნენ. ერთი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენე და ეს მოსვენებას არ მაძლევდა. ასე რომ, მნიშვნელოვანი იყო გოლის გასატანად მქონოდა კიდევ ერთი შანსი, რომელსაც ყველა ასე ველოდით"

გამომცემლობა
ინტელექტი
გთავაზობთ

ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი

მსოფლიო კლასიკოსები და ქართველი მთარგმნელები
შედევრების თარგმნის უწყვეტი ტრადიცია



დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 47 55 54
inteleqti@caucasus.net
info@intelekti.ge
www.intelekti.ge
www.intelekti.ge